

შპს

„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“

იურისტის

სამსახურებრივი ინსტრუქცია

ბათუმი

2019

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. იურისტის ფუნქციები	3
მუხლი 3. სამსახურებრივი დაქვემდებარება.....	4
მუხლი 4. იურისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.....	4
მუხლი 5. დასკვნითი დებულებები.....	5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“-ს (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) იურისტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფუნქციებს, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს.
2. იურისტი წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს, რომლის საქმიანობის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მხარდაჭერა.
3. იურისტი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტების, საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების, სამსახურის დებულებისა და სხვა შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე.
4. იურისტი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტის მართვის შემდეგი პრინციპებით:
 - ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
 - ბ) პოლიტიკური ნეიტრალიზმი და სიტყვის თავისუფლება;
 - გ) სამართლიანობა და თანასწორობა;
 - დ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორი მოპყრობა, განურჩევლად პირის რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის გამო;
 - ე) ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა;
 - ვ) გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა;
 - ზ) კონკურსებისა და არჩევნების საჯაროობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა.

მუხლი 2. იურისტის ფუნქციები

1. იურისტის უფლებამოსილებას განეკუთვნება შემდეგი ფუნქციების განხორციელება:
 - ა) სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი საკითხების შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების მომზადება;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი დოკუმენტაციისა და მათში შესატანი ცვლილებების პროექტების მომზადება;

- გ) სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების ვიზირება;
- გ) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი ტრანზაქციების სამართლებრივი ანალიზი და შესაბამისი დასკვნების მომზადება;
- დ) სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლების სამართლებრივი კონსულტაცია მათ მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით;
- ე) საკანონმდებლო სიახლეების კონტროლი, მათი ანალიზი და შესაბამისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება;
- ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებთან ურთიერთობაში;
- ზ) კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
- თ) კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესში ჩართულობა;
- ი) მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ყოველსემესტრული ანგარიშის მომზადება;
- კ) სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით ან/და გამომდინარეობს იურისტის საქმიანობის მიზნებიდან.

მუხლი 3. სამსახურებრივი დაქვემდებარება

1. იურისტის საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. იურისტი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ.

მუხლი 4. იურისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. იურისტი უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
 - ა) უმაღლესი განათლება სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით;
 - ბ) იურისტად მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;
 - გ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
 - დ) საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა ((Microsoft Word, Excel, Power point);

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე სამსახურებრივ ინსტრუქციაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ან/და ახალი რედაქციის დამტკიცება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.
2. ამ სამსახურებრივი ინსტრუქციით განსაზღვრული ნორმები არ ვრცელდება აღნიშნული ინსტრუქციის დამტკიცებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.